

Pension Reform in Georgia: Issues and Prospects


Ana Bakuridze

Irakli Abashidze

Lasha Paghava

Thesis presented to the Business School of Ilia State University in partial fulfillment of the requirements for the degree of Business Administration

Academic Supervisor: Nikoloz Kavelashvili



Ilia State University

Tbilisi, 2019

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, საქართველოს ახალი საპენსიო სისტემის, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წელს, საფუძვლიანი შესწავლა და ანალიზი. საზოგადოების ნაწილი სკეპტიკურადაა განწყობილი სქემის ეფექტურობის მიმართ. გარდა ამისა, ვინაიდან საპენსიო სისტემა ახალი დანერგილია, ყველა პროცედურა ჯერ არ არის დეტალურად გაწერილი და დაგეგმილი. ასიათასობით ადამიანის კეთილდღეობა კი დამოკიდებულია სწორედ საპენსიო სისტემაზე, და, ზოგადად, ის პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ ახალი საპენსიო სქემის რეალური რისკები და ხარვეზები და შემოგთავაზოთ ჩვენი რეკომენდაციები.

გამოვიყენეთ, როგორც თეორიული, ასევე ემპირიული კვლევის მეთოდები. ვიხელმძღვანელებთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით. ამასთანავე, გავითვალისწინეთ კანონები და რეგულაციები, რომელიც გამოქვეყნებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდსა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე.

იმისათვის რომ გაგვეგოთ თუ რა შედეგის მოტანა შეუძლია ახალ საპენსიო სისტემას მოსახლეობისთვის, გამოვითვალეთ საშუალო ასაკის, დასაქმებული ადამიანის მიერ დაგროვებული თანხა და ყოველთვიური პენსია გარკვეული დაშვებებით. შევქმენით საპენსიო ფონდის პორტფელის აქტივების განაწილების ჩვენეული მოდელი, მათ შორის, აქტივების გადანაწილება სხვადასხვა რისკის კატეგორიის კლასებსა და ფინანსურ აქტივებში. იმისათვის, რომ გვეჩვენებინა სრული სურათი, განვიხილეთ რამდენიმე სცენარი, შედეგები შევადარეთ ძველ საპენსიო სისტემას და გამოვავლინეთ როგორც ნაკლოვანებები ასევე პერსპექტივები.

ამასთანავე, გამოვკითხეთ 200 ადამიანი, რათა გამოგვევლინა ის პრობლემები, რასაც საქართველოს მოსახლეობა ხედავს აღნიშნულ საპენსიო სისტემაში. გავაანალიზეთ საქართველოს მთავრობის მომავალი გეგმები ახალ საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით და განვიხილეთ სხვა ქვეყანაში არსებული საპენსიო სისტემები.

Abstract

The aim of our thesis is to provide clear understanding of Georgian new pension system, which has been implemented from 2019. Many people are skeptical regarding the effectiveness of the introduced scheme. Besides, as the system is new, not all the procedures are yet written and planned. Welfare of thousands of people is depended on the pension system, and, in general, it has an impact on the country's economic condition. Therefore, we want to show the real risks and flaws that the pension system is facing and offer our recommendations.

For our analysis, we used theoretical and empirical research methods in the paper. As a main source of data, we have guided by statistical data available from the National Statistics Office of Georgia and the National Bank of Georgia. We also took into consideration the rules and regulations of pension system placed on the official web site and matsne.gov.ge.

In order to present the future outcomes of new pension scheme, we calculated accumulated pension of average age employee with several assumptions, additionally, we introduced our model of the portfolio asset allocation, including the share distribution among different risk category classes and financial assets. In order to present the clear picture, we analyzed several scenarios, compared results to the previous pension system and identified the drawbacks and perspectives.

Furthermore, we made a survey of 200 people to point out problems that people see in the new scheme, analyzed the plans of government regarding new pension system and studied the pension systems the examples of other countries.